მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში მთავრობის ვალის ნაშთი და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამი 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 33 231.1 მლნ ლარს.

ზემოხსენებული ჯამური ვალდებულება მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა - 33 129.5 მლნ ლარს, საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხების არსებულ ნაშთს - 44.1 მლნ ლარს და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას - 57.5 მლნ ლარს.

მთავრობის საგარეო ვალი

მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი, 23 605.4 მლნ ლარი, მთლიანი მთავრობის ვალის 71%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საშუალო შეწონილი საკონტრაქტო ვადიანობა შეადგენს 21.6 წელს, საშუალო შეწონილი ვადიანობა დაფარვამდე შეადგენს დაახლოებით 9.5 წელს, ხოლო მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 3.34%-ს.

მთავრობის ვალის სტრუქტურა 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით



2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის 48% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე.





მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა - 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

კრედიტორი	ვალუტა	ნაშთი აშშ დოლარი	ნაშთი ლარი	საპროცენტო განაკვეთის ტიპი	საპროცენტო განაკვეთი
მთავრობის საგარეო ვალი		**8 647 602**	**23 605 359**		
მრავალმხრივი კრედიტორები		**6 538 410**	**17 847 898**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB - IDA)	SDR	517 964	1 413 887	Fixed	1.21%
რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი(WB - IBRD)	EUR	243 117	663 636	Fixed	2.98%
	EUR	486 257	1 327 336	Euribor + VS	4.55%
	USD	929 407	2 537 002	Ref.Rate + VS	6.42%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	22 390	61 117	Fixed	1.22%
	SDR	2 157	5 889	(Ref.Rate + IBRD VS)/2	2.68%
	EUR	12 587	34 359	Euribor+VS	4.83%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF EFF,MOF)	SDR	199 387	544 266	SDR Rate of Charge	4.53%
ევროკავშირი (EU)	EUR	148 509	405 384	Fixed	0.38%
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	228 648	624 141	Euribor + 1%	4.50%
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	379 550	1 036 058	Fixed	1.63%
	EUR	496 978	1 356 602	Fixed	1.12%
	EUR	1 077 230	2 940 516	Euribor + FS	4.32%
	USD	407 735	1 112 994	Ref.Rate + FS	6.20%
აზიის ინფრასტრუქტურის განვითარების ბანკი (AIIB)	USD	74 017	202 045	Ref.Rate + VS	6.98%
	EUR	145 604	397 456	Euribor + VS	4.38%
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	EUR	12 049	32 890	Fixed	2.17%
	EUR	3 583	9 782	Euribor + VS	4.28%
ევროპის საინვესტიციო ბანკი(EIB)	EUR	718 922	1 962 441	Fixed	1.96%
	EUR	430 450	1 175 000	Euribor + FS	4.09%
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	EUR	1 867	5 097	Euribor + VS	5.49%
ორმხრივი კრედიტორები		**1 609 192**	**4 392 611**		
ავსტრია	EUR	12 053	32 901	Fixed	1.00%
აზერბაიჯანი	USD	1 151	3 143	Fixed	3.00%
თურქმენეთი	USD	211	576	Fixed	4.00%
თურქეთი	USD	2 242	6 119	Fixed	3.25%
ირანი	USD	840	2 292	Fixed	3.00%
რუსეთი	USD	7 870	21 481	Fixed	4.00%
სომხეთი	USD	1 016	2 772	Fixed	3.00%
ყაზახეთი	USD	1 252	3 419	Fixed	4.00%
გერმანია (KfW)	EUR	451 087	1 231 333	Fixed	1.04%
	EUR	166 561	454 663	Euribor + FS	4.30%
იაპონია	JPY	131 854	359 921	Fixed	0.74%
ქუვეითი	KWD	10 625	29 003	Fixed	2.66%
ნიდერლანდების სამეფო	EUR	26	72	Fixed	4.20%
ამერიკის შეერთებული შტატები	USD	7 809	21 315	Fixed	2.22%
საფრანგეთი	EUR	507 656	1 385 750	Fixed	1.09%
	EUR	306 938	837 850	Euribor + FS	3.96%
ფასიანი ქაღალდები		**500 000**	**1 364 850**		
ევრობონდი	USD	500 000	1 364 850	Fixed	2.75%
		საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი			**3.34%**

მთავრობის საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის 2024 წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 1 418 240.4 ათასი ლარი, მათ შორის 884 642.9 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 533 597.5 ათასი ლარი - პროცენტის თანხას.

საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი

კრედიტორები	ვალების დაფარვა	პროცენტი	სულ
ავსტრია	*2 502.2*	*251.9*	*2 754.1*
ქუვეითი	*3 595.4*	*576.7*	*4 172.1*
იაპონია	*13 947.3*	*1 938.6*	*15 885.9*
გერმანია	*103 042.6*	*18 612.5*	*121 655.1*
აშშ	*2 045.6*	*80.6*	*2 126.2*
სომხეთი	*2 546.4*	*141.2*	*2 687.6*
აზერბაიჯანი	*2 886.6*	*157.9*	*3 044.5*
ირანი	*2 105.6*	*114.9*	*2 220.5*
ყაზახეთი	*3 140.0*	*232.1*	*3 372.1*
ნიდერლანდების სამეფო	*65.4*	*5.0*	*70.3*
რუსეთი	*19 754.9*	*1 460.9*	*21 215.8*
თურქეთი	*5 620.8*	*337.6*	*5 958.5*
საფრანგეთი	*27 966.9*	*50 352.5*	*78 319.3*
IDA	*218 213.9*	*14 476.9*	*232 690.8*
IBRD	*61 899.4*	*172 266.6*	*234 166.1*
IFAD	*6 474.8*	*1 663.1*	*8 137.9*
EBRD	*76 391.7*	*27 613.4*	*104 005.1*
EIB	*27 229.6*	*66 330.2*	*93 559.8*
ADB	*297 243.5*	*111 055.9*	*408 299.4*
IMF	-	*20 902.3*	*20 902.3*
EU	-	*1 494.8*	*1 494.8*
CEB	-	*745.4*	*745.4*
AIIB	*7 257.1*	*24 098.5*	*31 355.6*
NEFCO	*713.1*	*324.8*	*1 038.0*
ევრობონდი	-	*18 363.1*	*18 363.1*
სულ	***884 642.9***	***533 597.5***	***1 418 240.4***

მთავრობის საშინაო ვალი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა 1 წლამდე ვადიანობის სახაზინო ვალდებულებების და 1 წელზე მეტი ვადიანობის სახაზინო ობლიგაციების გამოშვება. 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა შეადგინა: 6 თვიანზე 7.9%, 12 თვიანზე 7.7%, 5 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 5 წელი) - 8.5%, 7 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 7 წელი) – 8.7%, 10 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 3 წელი) - 8.5%; 11 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 10 წელი) - 8.9%

2024 წლის 9 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 54 გამოშვების აუქციონი - 2 580.1 მლნ ლარის ნომინალური მოცულობით და 3 გაცვლის აუქციონი 149.5 მლნ ლარის ნომინალური მოცულობით. მ.შ. სახაზინო ობლიგაციები - 2 319.5 მლნ ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს ე. წ. „ბენჩმარკ ბონდებს“. 2024 წლის 9 თვის განმავლობაში გრძელდებოდა პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა 5 წლის და 10 წლის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციებზე.

Liability Management Operations (LMO) ფარგლებში 2023 წლის მეორე ნახევრიდან ტარდება და 2024 წლის განმავლობაში რეგულარულად გრძელდება გამოსყიდვის (Buy Back) ოპერაციები, ხოლო 2024 წლიდან გაცვლის (Switch) ოპერაციები. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 7 გამოსყიდვის ოპერაცია 290.0 მლნ ლარის მოცულობით და განთავსდა 3 გაცვლის ოპერაცია საერთო მოცულობით 149.5 მლნ ლარი.

ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად მთავრობის საშინაო ვალის ნაშთმა 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგინა 9 568.2 მლნ ლარი (ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში - 9 384.7 მლნ ლარი და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ნაშთი - 44.1 მლნ ლარი), აქედან 9 323.3 მლნ ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, 200.8 მლნ ლარი - „ობლიგაცია სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ნაშთი - 44.1 მლნ ლარი.

ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის ნაშთი
2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი

სულ	**9,428,791.2**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**9,183,886.0**
სახაზინო ვალდებულებები (1 წლამდე ვადის მქონე)	360,000.0
სახაზინო ობლიგაციები (1 წელზე მეტი ვადის მქონე)	8,823,886.0
სხვა ფასიანი ქაღალდები	**200,846.0**
ობლიგაცია სებ-ისთვის	40,846.0
ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	160,000.0
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი *	**44,059.2**
მ.შ. სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები	*19,107.2*

** საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, გათვალისწინებულია სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სესხის სახით არსებული ვალი 2022 წლის დეკემბრიდან*

2024 წლის 9 თვის განმავლობაში, საშინაო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა (პროგრამული კოდი 56 02) შეადგინა 689,121.7 ათასი ლარი. მათ შორის:

- „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ ძირითადი თანხის დაფარვა - 32 000.0 ათასი ლარი;
- „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ მომსახურება - 11 143.1 ათასი ლარი;
- „ობლიგაცია სებ-ისთვის“ მომსახურება - 3 670.4 ათასი ლარი;
- სახაზინო ვალდებულებების მომსახურება - 25 607.4 ათასი ლარი;
- სახაზინო ობლიგაციების მომსახურება - 616 700.8 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით საშინაო ვალის ზრდამ შეადგინა 2 722 947.4 ათასი ლარი, ხოლო კლებამ 1 693 525.7 ათასი ლარი; გამოსყიდვის/გაცვლის არა საკასო (LMO) ოპერაციების ფარგლებში წმინდა ზრდის გათვალისწინებით (7 053.4 ათასი ლარი) 2024 წლის 9 თვის განმავლობაში საშინაო ვალის ნაშთის წმინდა ზრდა შეადგენს 1 029 421.7 ათას ლარს.

მთავრობის ვალის ნაშთი 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

ათასი ლარი

კრედიტორი	ნაშთი 30.09.2024 მდგომარეობით ათასი ლარი
მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი	**23 605 358.8**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	**17 847 897.7**
მსოფლიო ბანკი (WB)	5 941 861.2
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	101 365.4
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	544 265.7
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	624 140.6
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	6 446 169.4
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	3 137 440.8
ევროკავშირი (EU)	405 384.0
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	599 501.2
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	42 672.0
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	5 097.4
ორმხრივი კრედიტორებისაგან	**4 392 611.0**
ავსტრია	32 901.4
აზერბაიჯანი	3 142.7
თურქმენეთი	576.2
თურქეთი	6 119.5
ირანი	2 292.4
რუსეთი	21 481.4
სომხეთი	2 772.3
ყაზახეთი	3 418.5
გერმანია	1 685 996.1
იაპონია	359 921.0
ქუვეითი	29 002.7
ნიდერლანდების სამეფო	72.1
ამერიკის შეერთებული შტატები	21 314.9
საფრანგეთი	2 223 599.9
სხვა საგარეო ვალდებულებები	**1 364 850.0**
ევრობონდი	1 364 850.0
მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი	**9 568 181.8**
ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	40 846.0
სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	160 000.0
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	337 027.7
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	8 986 249.0
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალი	44 059.2
მ.შ. სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები	*19 107.2*
სულ მთავრობის ვალის ნაშთი	**33 173 540.6**

შენიშვნა:

ცხრილში გამოყენებულია სავალუტო კურსები მოცემული თარიღისათვის